

**ოქმი #5**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

2020 წელი, 25 თებერვალი  
 ქ. ოზურგეთი  
 14.00 – 15.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დ.დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:

გ.ღურჯუმელიძე, ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე,  
 ბ.დოლიძე, ტ.აროშიძე, გ.თოიძე, ლ.მგელაძე, გ.ჩავლეშვილი,  
 ე.გორდელაძე, შ.გოგიბერიძე, ლ.მგელაძე.  
 მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-  
 ალ.სურგულაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

### დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის -გომისმთის დასახლების (დაბა) შექმნის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი:** დავითდარჩია

**თანამომხსენებლები:** ლაშა თავაძე,

**ლავრენტი ბიგვავა.**

საკითხის განხილვისას თანამომხსენებელმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია წერილი, რომელშიც მერია აყენებს წინადადებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საკურორტო ადგილ გომისმთაში შეიქმნას დასახლება (დაბა) -ბიუროს წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს

გადაწყვეტილება მხარი დაუჭირონ მერის წინადადებას და საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განიხილონ და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება.

### გადაწყვეტის:

- 1.საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.
- 2.საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 26 თებერვალს დღის 12.00 საათზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო